MARTVILI MUNICIPALITY GIVI ELIAVA'S THE MUSEUM OF LOCAL LORE

Digitally signed by MARTVILI MUNICIPALITY GIVI ELIAVA'S THE MUSEUM OF LOCAL LORE
Date: 2020.01.14 14:53:25 +04'00'

ხელშეკრულება საწვავის მიწოდების შესახებ №2

Levan Diasamidze

Digitally signed by Levan Diasamidze
Date: 2020.01.14 14:48:07 +04'00'

ქუთაისი

13/01/2020 წელი

ერთის მხრივ, შპს „იბერკომპანი“, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 231963818; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 12ა; ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ლადო ასათიანის ქუჩა №98; ტელეფონი+995322958888/0431 234622; საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“; ბანკის კოდი: UGEBGE22; ანგარიშსწორების ანგარიში: GE36VT7070707070707070; ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგარიშსწორების ანგარიში: GE30BG0000000121695500; ს.ს. „ლიბერთი ბანკი“; ბანკის კოდი: LBRTGE22; ა/ნ GE59LB0113185629156000; ს.ს. „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ნ GE28TB7394736020100002; e-mail: info@ibercompany.ge; წარმომადგენელი მისი დირექტორის ლევან დიასამიძე მიერ შემდგომში წოდებული როგორც გამყიდველი
და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ს/ნ.435431695, წარმოდგენილი დირექტორის გივი ელიავას სახით (შემდგომში „მყიდველი“) .

„ნავთობპროდუქტების (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის #11 ბრძანების მე-6 მუხლის, ასევე ნავთობპროდუქტების (საწვავის) 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტისა (საწვავის შესყიდვა გამარჯვებული მიმწოდებლის აგს-ის 15კმ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში) და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 10 იანვრის *№24353 ნებართვების საფუძველზე.*

თანხმდებიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით „მყიდველი“ „გამყიდველისაგან“ შეისყიდის 100 ლიტრ ***ბენზინს - euro regular-ს*** ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად პლასტიკური საბარათე სისტემის მეშვეობით გამყიდველის კანონიერ მფლობელობაში არსებული ობიექტებიდან - ავტოგასამართი სადგურებიდან.

1.2. გამყიდველმა უნდა უზრუნველყოს მყიდველი პლასტიკური ბარათებით.
1.3. მყიდველის მიერ, ინტერნეტ ანგარიშით პლასტიკური ბარათების მართვის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამის ბარათებზე ლიმიტების ცვლილების, დაბლოკვის და სხვა ყველა სახის ცვლილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება, თავად მყიდველს.
1.4. გამყიდველმა თავის ვებ-გვერდზე ან ავტოგასამართი სადგურების ფასების მაჩვენებელზე (ფირნიშებზე) უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებული 1 ლიტრი საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ .
1.5. საწვავის მიწოდება ხდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გადაცემული ტალონების ან/და პლასტიკური ბარათების საფუძველზე, ამასთან ტალონების ან/და პლასტიკური ბარათების წარდგენა შესაბამის ტერმინალზე გატარება მყიდველის მიერ საწვავის მიღებისას სავალდებულოა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ხელშეკრულებაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები გაგებული უნდა იქნეს შემდეგი მნიშვნელობით:

2.1.1. **ხელშეკრულების ღირებულება** – მყიდველის მიერ ფაქტობრივად შეძენილი საწვავის ღირებულებათა ჯამი, რომელიც გამოიანგარიშება ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში გამყიდველის მიერ მიწოდებული და მყიდველის მიერ შეძენილი (გამყიდველისათვის წარდგენილი ტალონების ან პლასტიკური ბარათების საფუძველზე) საწვავის რაოდენობის გამრავლებით შეძენის მომენტში არსებულ საწვავის ფასზე, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

2.1.2. **ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.1.3. **საწვავის ფასი** – გამყიდველის მიერ საწვავზე დაწესებული ფასი, რომლის პრეისკურანტი განთავსებულია ავტო-გასამართ სადგურებზე ან გამყიდველის ვებგვერდზე;

2.1.4. **ავტოგასამართი სადგური** - ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

2.1.5. **ავტოგასამართი კომპლექსი** - ტექნოლოგიური სისტემის, შენობა- ნაგებობების მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ორი ან სამი სახეობის საწვავის - ბენზინის, დიზელის საწვავის, ძრავას ზეთის (შემდგომ - ნავთობპროდუქტები), გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის და შეკუმშული ბუნებრივი აირის მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

2.1.6. **ნავთობის ბაზა (ტერმინალი)** - ობიექტი, რომელიც განკუთვნილია ტრანსპორტის ერთი სახეობიდან მეორეზე ნავთობპროდუქტების გადასატვირთად, სხავადასხვა სახის ტრანსპორტით ნავთობპროდუქტების მისაღებად და მომხმარებლებზე გასაცემად, აგრეთვე შესანახად;-გამყიდველის კანონიერ მფლობელობაში არსებული ობიექტები ან დანართი # 1 ჩამოთვლილი ობიექტები;

2.1.7. **საწვავი** – სხვადასხვა მარკის საავტომობილო ბენზინი, დიზელი და/ან სხვა საწვავი საშუალება და/ან ნავთობპროდუქტები, რომლის რეალიზაციის უფლებაც გამყიდველს აქვს;

2.1.8.**საწვავის ტალონი** – აუცილებელი რეკვიზიტების მქონე დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს მყიდველისათვის საწვავის მიწოდების ვალდებულებას. ტალონზე აღნიშნულია შემდეგი რეკვიზიტები: ა) ტალონის ნომერი; ბ) გამყიდველის სახელწოდება (საიდენტიფიკაციო ნომრით); გ) საწვავის მარკა; დ) საწვავის რაოდენობა; აუცილებელი რეკვიზიტების გარეშე წარმოდგენილი ტალონი გამყიდველის მიერ არ მიიღება.

2.1.9. **საწვავის პლასტიკური ბარათი** – აუცილებელი რეკვიზიტების მქონე პლასტიკური ბარათი, რომელზეც შესაბამისი თანხის ჩარიცხვის შემდეგ ან/და საწვავის შესაბამისი ოდენობის გამყიდველის მიერ ასახვის შემდეგ, წარმოშობს მყიდველისათვის საწვავის მიწოდების ვალდებულებას. ბარათზე აღნიშნულია შემდეგი რეკვიზიტები: ა) ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი. აუცილებელი რეკვიზიტების გარეშე წარმოდგენილი ბარათი გამყიდველის მიერ არ მიიღება/ ნაშთის გარეშე არ მოხდება მიწოდება.

2.1.10. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. გამყიდველს უფლება აქვს:

3.1.1. მოსთხოვოს მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა დაცვა;

3.1.2. მოსთხოვოს მყიდველს მიწოდებული საწვავის დროული ტრანსპორტირება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან.

3.2. გამყიდველი ვალდებულია:

3.2.1. მიაწოდოს მყიდველს ხარისხიანი საწვავი მყიდველის წარმოდგენილ ტალონზე მითითებული ოდენობით ან ან/და პლასტიკურ ბარათზე არსებული ნაშთის ფარგლებში მყიდველის მიერ მოთხოვნილი ოდენობით, ხოლო პლასტიკური ბარათის სისტემით მიწოდების დროს შესაბამისი თანხის ექვივალენტური ოდენობის საწვავის მიწოდების უზრუნველყოფა;

ა) უზრუნველყოს მყიდველისათვის საწვავის ტალონების ან ბარათების დამზადება, მყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონის ან ბარათის გადაცემის თაობაზე, მყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონის/ბარათის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის მყიდველზე)

ბ) მყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ან ბარათის წარდგენისთანავე უზურნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი მოთხოვნილი საწვავით.

გ)განიხილოს მყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

დ) უზურნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.3. მყიდველს უფლება აქვს:

3.3.1. მოითხოვოს საწვავის მიწოდება ტალონზე/ბარათზე მითითებული მოცულობით;

3.3.2. შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა გამყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

3.3.3. უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

3.4. მყიდველი ვალდებულია:

3.4.1. გადაიხადოს საწვავის ფასი ხელშეკრულების მე-4 მუხლის მოთხოვნათა დაცვით;

3.4.2. მოახდინოს მიწოდებული საწვავის ტრანსპორტირება ავტოგასამართი სადგურის/კომპლექსის/ნავთობის ბაზის ტერიტორიიდან;

მყიდველი ვალდებულია:

3.4.3. წერილობით აცნობოს გამყიდველს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

3.4.4. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ გამყიდველის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

4.1.1.მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ანგარიშსწორება იწარმოებს გამყიდველის მიერ ანგარიშფაქტურისა ან/ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ერთი ლიტრი ***ბენზინი - euro regular -ის ღირებულება შეადგენს 2,25 ლარს,*** სულ ჯამურად ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 225,00 **(ორასოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარი.**

4.1.2.მყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს ლარში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში (კონსიგნაციის ვადა) უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

4.1.3..მყიდველის მიერ გადახდის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ანაზღაურების სრული თანხის წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ „გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე ან „გამყიდველის“ სალაროში შესაბამისი ნაღდი თანხის მიღების მომენტიდან;

4.1.4.ვადაგადაცილებულად ჩაითვლება დავალიანება, თუ „მყიდველი“ არ დაფარავს „გამყიდველის“ მიმართ არსებულ დავალიანებას ამ „ხელშეკრულების“ პუნქტი 4.1.2-ში მითითებულ ვადაში;

4.2. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველის შეხედულებისამბრ, მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთანავე გამყიდველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ არ გასცეს საწვავი ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაყიდულ სხვა ტალონებზე საბოლოო ანგარიშწორებამდე და ცალმხრივად გადაწყვიტოს ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი, რისთვისაც საკმარის საფუძველს წარმოადგენს სატელეფონო ან წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტორნულ მისამართზე გაფრთხილების/ შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.3. გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მყიდველი საგადასახადო ანგარიშფაქტურით მიწოდებული საწვავის რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით.

მუხლი 5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1. საწვავის მიწოდება მოხდება ხელშეკრულების თანახმად, მოთხოვნის შესაბამისად.
5.2. ბარათების მიწოდება განხორციელდება წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 დღეში. ბარათის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის მყიდველზე, მყიდველისათვის გადაცემული ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, დაკარგული ბარათის ღირებულება გამყიდველის მიერ არ ანაზღაურდება. ამასთან უკვე გადაცემული ბარათი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ბარათზე გადაცვლას.
5.3. გამყიდველი ვალდებულია მყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული პლასტიკური ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა ბარათში აღნიშნული ხარისხისა და რაოდენობის საქონლით. საწვავის გაცემა ხდება ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.
5.4. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
5.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6 მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტა

6.1. მყიდველი იღებს პასუხისმგებლობას შეძენილი საწვავის უსაფრთხო ტრანსპორტირებაზე ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;
6.2. გამყიდველი პასუხისმგებელია მიწოდებული საწვავის ხარისხსა და რაოდენობაზე;
6.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
6.4. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტას მხარეები შეეცდებიან მოლაპარაკების გზით.
6.5. შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნება მიქცეული აღსასრულებლად.

მუხლი 7 ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გარემოებათა გამო;
7.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ შესაძლებლობებს, კერძოდ, მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, ომსა და საომარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს;
7.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს;
7.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედების საკითხი.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შეცვლა და შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ამ ვალდებულებების შესრულებამდე. 31.01.2020 დან 31.03.2020 მდე
8.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის შესახებ.
8.3. ხელშეკრულება შესაძლებელია აგრეთვე ვადამდე შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც.
8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებისაგან.
8.4 ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მხარეები აღიარებენ, რომ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხელმოწერილი ურთიერთშედარების აქტი/აქტები ან მიღება-ჩაბარების აქტი/ აქტები ან დადასტურებული საგადასახადო ანგარიშფაქტურა წარმოადგენს საკმარის საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ან/და არაფულადი ვალდებულების დადგენისათვის (აღიარებისათვის) და შესაბამისად ასეთი ვალდებულების იძულებითი აღსრულებისათვის, როგორც სასარჩელო, ასევე გამარტივებული წარმოების წესით ან/და ასეთის არსებობის შემთხვევაში გირავნობის ან/და იპოთეკის ხელშკერულების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე;
9.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს მათთვის ბუნდოვან ფრაზებსა და წინადადებებს.
9.3. სხვა მანამდე არსებული ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ძალადაკარგულად ჩაითვალოს.
9.4. ხელშეკრულებაში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხოლოდ წერილობითი ფორმით.

გამყიდველი:
შპს „იბერკომპანი“ ს/ნ 231963818
იურ.მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ა ; ფილიალი: ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის №98
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. „ვითიბი ბანკი“ ა/ნ GE36VT7070707070707070
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ა/ნ GE30BG0000000121695500
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ა/ნ GE59LB0113185629156000
ს.ს. „თიბისი ბანკი“ ა/ნ GE28TB7394736020100002

ტელეფონი 0431 23 46 22, 577 22 11 99 მირზა წინწკალაძე

დირექტორი ---------- / ლ. დიასამიძე /

მყიდველი:
მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ს.კ. 435431695
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ. TRESGE22

დირექტორი ---------- / გ.ელიავა/